ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 9176/01
17/09/2019

9176-01-2-201909171551

შპს „გრინ რეზორტის“ დირექტორს
ბატონ ლევან შერაზადიშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2018 წლის 30 აგვისტოს №12468 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში მრავალფუნქციური სასტუმრო, საკურორტო-გამაჯანსაღებელი და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი, რაც მნიშვნელოვანია სრულყოფილი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები (თითოეული მიწის ნაკვეთის დანიშნულების და ფართობის მითითებით).
- პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების განთავსების ადგილები, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე;
- საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- ინფორმაცია პროექტისთვის საჭირო ელექტროგადამცემი ხაზების ძაბვის და ანძების განთავსების შესახებ. ეგხ-ს საპროექტო დერეფანი სხვადასხვა ობიექტების (ზედაპირული წყლის ობიექტები, დასახლებული პუნქტები, კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები, საავტომობილო ან/და სარკინიგზო ხაზები და ა.შ.) გადაკვეთის წერტილების მითითებით

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

(ტექნიკური გადაწყვეტით) GIS (გეოინფორმაციული სისტემები) shp-ფაილებთან ერთად;

- კომპლექსის ბუნებრივი აირით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები. მილსადენის საპროექტო არეალი სხვადასხვა ობიექტების (ზედაპირული წყლის ობიექტები, დასახლებული პუნქტები, კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები, საავტომობილო ან/და სარკინიგზო ხაზები და ა.შ.) გადაკვეთის წერტილების მითითებით (ტექნიკური გადაწყვეტით) GIS (გეოინფორმაციული სისტემები) shp-ფაილებთან ერთად;
- კომპლექსის წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები, ინფორმაცია ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ. საკანალიზაციო სისტემის პარამეტრები, კოლექტორის/მილების დიამეტრი და GIS (გეოინფორმაციული სისტემები) shp-ფაილები;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის ტიპი, წარმადობა, პარამეტრები და მოწყობის ადგილ(ებ)ი GPS კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და მოსახსნელი ნიადაგის მოცულობის შესახებ;
- ინფორმაცია გრუნტის და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შესახებ;
- სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა და გრაფიკი;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების და მოედნების შესახებ, ასევე მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის და მათი საწვავით გამართვის შესახებ;
- შავის ზღვის სანაპირო ზოლზე (სანაპირო ზოლის მოწყობა 795 $მ^2$ ფართობზე) ზემოქმედება და ინფორმაცია საპროექტო არეალში წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტების შესახებ, მათზე შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა.
- მდ. ჩოლოქის, მდ. ოჩხამურისა და მდ. შავი ღელეს იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე;
- ინფორმაცია მდ. ჩოლოქის, მდ. ოჩხამურისა და მდ. შავი ღელეს ნაპირდაცვითი სამუშაოების საჭიროების შესახებ.
- მშენებლობის ეტაპზე ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შეფასება;
- საპროექტო ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არსებული ფლორის და ფაუნის აღწერა, შესაბამისი კვლევებით (დაცული ტერიტორიების სიახლოვის გათვალისწინებით). ზემოქმედება ფლორის და ფაუნის წარმომადგენლებზე და მათ ჰაბიტატებზე (განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდეს რელიქტურ, ენდემურ და წითელი წიგნით დაცულ სახეობებზე).

- კვლევა რამსარის კონვენციით დაცულ ჰაბიტატზე (ჭარბტენიან ტერიტორიაზე) და ზემოქმედების შეფასება;
- ინფორმაცია საავტომობილო გზების, ავტოსადგომების და ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობის შესახებ GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე